




**კვირის ეკონომიკური მონიტორი
29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი, 2018**


- სექტემბერში ეკონომიკა 5,6%-ით გაიზარდა.
- ოქტომბერში ინფლაციის დონემ 2,3% შეადგინა.
- იანვარ-სექტემბერში გაცემული სამშენებლო ნებართვები 4,6%-ით შემცირდა.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2018 წელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (%)



"საქსტატი"-ს წინასწარი შეფასებით, 2018 წლის სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპმა 5,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2018 წლის III კვარტლის რეალური ზრდა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,0 პროცენტით განისაზღვრა. ამასთან, 2018 წლის პირველი ცხრა თვის საშუალო რეალური ზრდა 4,9 პროცენტს შეადგენს. წინასწარი შეფასებით, 2018 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა დამამუშავებელი მრეწველობის, საფინანსო საქმიანობის, ვაჭრობის, უძრავი ქონებით ოპერაციების, ტრანსპორტის, სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის მარჯვენაპლუზი, 2018 წელი (მლნ. ლარი)




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 916,9 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა 755,4 მლნ. ლარი, შესაბამისად სექტემბრის თვის ბიუჯეტის პროფიცი 161,5 მლნ. ლარი იყო.



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში
(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)




პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	0.2
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5.7
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-7.1
საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი	4.4
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	0.9
ჯანმრთელობის დაცვა	6.1
ტრანსპორტი	6.5
კავშირგაბმულობა	-1.4
დასვენება, გართობა და კულტურა	1.2
განათლება	2.4
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.5
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.6

ჯგუფების წვლილი 2018 წლის ოქტომბრის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 2,3%)

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	0.08
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.39
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	0.37
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	0.05
ჯანმრთელობის დაცვა	0.51
ტრანსპორტი	0.86
კავშირგაბმულობა	-0.06
დასვენება, გართობა და კულტურა	0.08
განათლება	0.11
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.10
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.03



ინფლაციის დონე, სულ — 2.3

2018 წლის ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0,3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2,3 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6,5 პროცენტის მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,86 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (10,3 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (2,4 პროცენტი);


ჯანმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 6,1 პროცენტით, რაც 0,51 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (12,0 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (3,8 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2,3 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 5,7 პროცენტით, რაც 0,39 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (9,5 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,9 პროცენტი);


საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი: ფასები გაიზარდა 4,4 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0,37 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები მომატებულია წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი), ელექტროენერჯის, აირის და სათბობის სხვა სახეების (4,2 პროცენტი), ასევე საცხოვრებლის მიმდინარე მოვლისა და შეკეთების (2,5 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.




**მხანაელთაგაგასამული ნებართვები რეგიონების მიხედვით,
2018 წლის იანვარი - სექტემბერი**



**ექსპლუატაციაში მიღებული თბიჯებები რეგიონების მიხედვით,
2018 წლის იანვარი-სექტემბერი**




ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2018 წლის იანვარ-სექტემბერში გაცემულია 7702 ნებართვა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,6 პროცენტით ნაკლები) 4536,9 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,2 პროცენტით ნაკლები). აღსანიშნავია, რომ ნებართვების 72,0 პროცენტი გაცემულია ქვეყნის 3 რეგიონში, კერძოდ: ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 48,0 პროცენტი ქ. თბილისშია, 13,2 პროცენტი – აჭარის ა.რ.-ში და 10,8 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონში. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის იანვარ-სექტემბერში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა - ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი 56,1 პროცენტი ქვეყნის 3 რეგიონზეა განაწილებული, კერძოდ: 28,9 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 15,6 პროცენტი – კახეთის რეგიონზე, ხოლო 11,6 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე. 2018 წლის იანვარ-სექტემბერში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 1453,5 ათასი კვ.მ ფართობის 1830 ობიექტი, რაც 15,9 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელს.




თბილისის ბანკთაშორის 1 დღიანი განაკვეთი ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით არ შეცვლილა და 7,04%-ის ტოლია.

2017 წლის ოქტომბერთან შედარებით 1 დღიანი განაკვეთი გაზრდილია 0.08 პროცენტული პუნქტით.



საქართველოს ეროვნული ბანკის 3 თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით 0,01 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.13%-ის ტოლია.

2017 წლის ოქტომბერთან შედარებით კი 3 თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი გაზრდილია 0,04 პროცენტული პუნქტით.




1 წლიან სახელმწიფო ობლიგაციებზე ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით საპროცენტო განაკვეთი 0,02 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7,14%-ს ტოლია, 2 წლიან სახელმწიფო ობლიგაციებზე კი 0,01 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7,22%-ს უდრის.

2017 წლის ოქტომბერთან შედარებით 1 წლიან სახელმწიფო ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთი გაზრდილია 0,01 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2 წლიან სახელმწიფო ობლიგაციებზე შემცირებულია 0,12 პროცენტული პუნქტით.




დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი




საბაზრო მონაცემების თანახმად, მიმდინარე კვირაში ლარი დოლართან მიმართებაში 0,89%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი დოლარის შეძენა 2,7251 ლარად იყო შესაძლებელი.

დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი




გასული ერთი თვის ლარის კურსის მერყეობა დოლართან მიმართებაში გამოსახულია გრაფიკზე, საიდანაც ჩანს, რომ საბაზრო მონაცემების თანახმად გასულ თვეში ლარი დოლართან მიმართებაში 4,07%-ით გაუფასურდა.

ევრო/ლარის გაცვლითი კურსი



საბაზრო მონაცემების თანახმად მიმდინარე კვირაში ლარი ევროსთან მიმართებაში 1,16%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი ევროს შეძენა 3,1194 ლარად იყო შესაძლებელი.

ევრო/ლარის გადვლითი კურსი



ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი ევროსთან მიმართებაში 2,76%-ით გაუფასურდა.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში ანალიზისათვის გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქსტატის, ეროვნული ბანკის და აგორა ფინანსების ვებ-გვერდებიდან.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში მოყვანილი მასალის ნებისმიერი ფორმით გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იქნას აგორა ფინანსები როგორც ინფორმაციის წყარო.

საკონტაქტო ინფორმაცია:

გიორგი მუშკუდიანი

g.mushkudiani@agora.ge

